

შეზღუდული პასუხისმგებლობის

საზოგადოება

„ახალი სამშობიარო ცენტრი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2019

შპს „აბაღი სამშობიარო ცენტრი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017	01.01.2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	5,242,483	3,319,668	2,155,654
არამატერიალური აქტივები	10	771	907	1,067
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,243,254	3,320,575	2,156,721
მიმდინარე აქტივები				
მარაგი	11	696,563	478,605	383,405
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	127,218	20,963	42,266
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	13	45,628	1,890	154
წინასწარ გადახდილი გადასახადები		11,091	191,167	150,537
სხვა მიმდინარე აქტივები		5,203	3,987	1,854
სულ მიმდინარე აქტივები		885,703	696,612	578,215
სულ აქტივები:		6,128,957	4,017,187	2,734,937
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,681,500	2,536,787	2,365,477
გაუნაწილებელი მოგება - ზარალი		(548,029)	(280,911)	(168,987)
სულ საკუთარი კაპიტალი		2,133,471	2,255,876	2,196,490
გრძელვადიანი ვალდებულებები				
სასესხო ვალდებულებები	14	3,530,615	1,500,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,530,615	1,500,000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	434,239	216,373	538,446
დარიცხული სასესხო ვალდებულებები	15	30,632	44,938	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		464,871	261,311	538,446
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		6,128,957	4,017,187	2,734,937

დირექტორი

.....

მთ. ბუღალტერი

.....

თარიღი: 13.08.2019

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
ამონაგები	5	12,883	12,848
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(16,906)	(15,754)
საერთო მოგება		(4,023)	(2,906)
სხვა შემოსავლები	6	1,618	209
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(90,413)	(48,745)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(47,451)	(1,030)
სხვა ხარჯები	7	(25,660)	(14,991)
ფინანსური ხარჯები	8	(61,301)	(20,753)
ქონების გადასახადი		(39,239)	(23,709)
მოგება დაბეგვრამდე		(266,468)	(111,925)
მოგების გადასახადი		(650)	-
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		(267,118)	(111,925)
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		(280,911)	(168,987)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		(548,029)	(280,911)

დირექტორი

.....

მთ. ბუღალტერი

.....

თარიღი: 13.08.2019

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
31.12.2016 წაშთი	2,365,477	(168,987)	2,196,490
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	171,311	-	171,311
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(111,925)	(111,925)
31.12.2017 წაშთი	2,536,787	(280,911)	2,255,876
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	144,713	-	144,713
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი ზრდა/შემცირება	-	-	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	(267,118)	(267,118)
31.12.2018 წაშთი	2,681,500	(548,029)	2,133,471

დირექტორი

.....

მთ. ბუღალტერი

.....

თარიღი: 13.08.2019

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	31.12.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	12,232	12,500
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(534,413)	(439,491)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(90,413)	(48,745)
დაბრუნებული გადასახადი	295,000	-
გადახდილი გადასახადები	(22,054)	(31,937)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	(317,594)	(507,673)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(1,793,231)	(1,163,935)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(1,793,231)	(1,163,935)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხების შედეგად საწარმოში შემოსული ფულადი სახსრები	4,733,952	1,500,000
ნასესხები სახსრების დასაფარად გადახდილი ფულადი სახსრები;	(2,700,000)	-
უცხოური ვალუტის გადაანგარიშების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი	(24,102)	2,033
დამფუძნებლის მიერ კაპიტალში თანხის შემოტანა	229,198	297,085
დამფუძნებლის მიერ კაპიტალიდან თანხის გატანა	(84,485)	(125,774)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	2,154,562	1,673,344
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	43,738	1,736
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	1,890	154
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსთვის	45,628	1,890

დირექტორი

.....

მთ. ბუღალტერი

.....

თარიღი: 13.08.2019

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „(საიდენტიფიკაციო ნომერი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ (რეგისტრაციის ნომერი). საწარმოს იურიდიული მისამართი არის საწარმოს ფაქტობრივი საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირი მიერ.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითადი ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2018 წლის პირველი იანვრით საწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საწარმომ პირველად გამოიყენა მსს ფასს-ი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება არის *მსს ფასს-ის* შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტში წარმოდგენილი წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის პირველი იანვარი.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება.

სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

3.2 სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

3.3 სასესხო ვალდებულებები

ბანკიდან მიღებული გრძელვადიანი სესხი ვალდებულების სახით აღიარდება გადასახდელი ფულადი სახსრების (მათ შორის, გადასახდელი ძირი თანხისა და პროცენტების) დღევანდელი ღირებულებით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.4 სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის (მომსახურების) შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.5 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი კაპიტალიზდება და ზრდის აქტივის ღირებულებას.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 20 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15 % წლიური განაკვეთით.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

3.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

3.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

3.11 მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლათა, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომელიც შეიძლება მიიწვევდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

5. ამონაგები	31.12.2018	31.12.2017
1 შემოსავალი რეალიზაციიდან	12,883	12,848
	12,883	12,848

კომპანიის ამონაგებს საანგარიშგებო პერიოდში წარმოადგენს სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.

6. სხვა შემოსავლები	31.12.2018	31.12.2017
1 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	1,656	233
2 არასაოპერაციო ზარალი	(38)	(23)
	1,618	209

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს საქონლის მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი დავალიანების ჩამოწერას ხანდაზმულობის გათვალისწინებით.

7. სხვა ხარჯები	31.12.2018	31.12.2017
1 რეკლამის ხარჯები	(2,405)	(1,017)
2 კომუნიკაციის ხარჯები	(6,741)	(1,201)
3 დაზღვევა	(5,103)	(2,835)
4 რემონტი	(85)	(364)
5 კომპიუტერის ხარჯები	-	(34)
6 საკანცელარიო ხარჯი	(275)	(342)
7 საკონსულტაციო ხარჯები	(2,667)	(7,879)
8 ბანკის საკომისიო	(2,178)	(752)
9 სხვა საერთო ხარჯი	(5,894)	(568)
10 ჯარიმები და საურავები	(312)	-

		(25,660)	(14,991)
8. ფინანსური ხარჯები	31.12.2018	31.12.2017	
1 კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(20,801)	(20,753)	
2 სესხის წინსწრებით დაფარვის საკომისიო	(40,500)	-	
	(61,301)	(20,753)	

9. ძირითადი საშუალებები	31.12.2018	შემოსვლა	გასვლა	31.12.2017	შემოსვლა	გასვლა	01.01.2017
მიწის ნაკვეთები	406,640	-	0	406,640	-	-	406,640
დაუმთავრებელი მშენებლობა	4,370,082	1,514,327	-	2,855,755	1,180,213	-	1,675,542
შენობები	-	-	(3,474)	3,474	-	(181)	3,655
მანქანა-დანადგარები	46,601	3,328	(3,105)	46,378	5,401	(20,820)	61,796
ოფისის აღჭურვილობა	100,981	112,382	(15,194)	3,793	-	(585)	4,378
რესეფშენი რესტორრანი ლობი ბარი	65,453	71,899	(6,446)	-	-	-	-
ავეჯი და სხვა ინვენტარი	244,465	284,172	(43,245)	3,538	-	(104)	3,642
გამწვანება	671	708	(37)	-	-	-	-
ავეჯი რესეფშენი საკომფერენციო	7,501	8,188	(687)	-	-	-	-
სხვადასხვა	89	-	-	89	89	-	-
	5,242,483	1,995,003	(72,189)	3,319,668	1,185,703	(21,689)	2,155,654

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- (ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

საწარმოს ვალდებულებების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთული (იპოთეკის ხელშეკრულება 1231232477109) აქვს ძირითადი საშუალებები, რომელთა საბალანსო ღირებულებები შეადგენს:

მიწის ნაკვეთი 406 640 ლარი
დაუმთავრებელი მშენებლობა 4 231 684 ლარი

10. არამატერიალური აქტივები	31.12.2018	შემოსვლა	გასვლა	31.12.2017	შემოსვლა	გასვლა	01.01.2017
სხვა არამატერიალური აქტივები	771	-	(136)	907	-	(160)	1,067

771

-

(136)

907

-

(160)

1,067

კომპანიის არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო პროგრამა ორისი. არამატერიალურ აქტივს ამორტიზაცია ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15 % განაკვეთით

11. მარაგები		31.12.2018	31.12.2017
1	საქონელი	459	116
2	ნედლეული და მასალები	419,236	288,038
3	შუალედური ანგარიში	53,419	77,618
4	სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	166,858	112,827
5	ავეჯი	-	-
6	სხვადასხვა ავეჯი	56,410	-
7	საოფისე	181	7
8	სარეცხი საშუალებები	-	-
9	სხვადასხვა მასალები	-	-
		696,563	478,605

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		31.12.2018	31.12.2017
1	მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9,212	6,387
2	მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	3,500
3	მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	118,006	11,076
		127,218	20,963

13. ფულადი სახსრები და ექვივალენტები		31.12.2018	31.12.2017
1	ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	666	1,888
2	ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	4,548	3
3	უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	40,415	-
		45,628	1,890

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

14. სასესხო ვალდებულებები		31.12.2018	31.12.2017
---------------------------	--	------------	------------

1 გრძელვადიანი სესხები

(3,530,615) (1,500,000)

(3,530,615) (1,500,000)

გრძელვადიანი სესხი უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.

2018 წელს კომპანიამ სს თიბისი ბანკისგან უცხოურ ვალუტაში აღებული სესხით გადაფარა სს ზირაათ ბანკის სესხი 2 700 000 ლარის ოდენობით.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით შპს „.....“-ს გაფორმებული აქვს 2 სასესხო ხელშეკრულება სს თიბისი ბანკთან:

სესხის ნომერი	ვალუტა	წლიური პროცენტი	დაფარვის ვადა (დღე)	დავალიანება 31.12.2018
#6580204-10105820	EUR	6.5%	177	40 000
#6580204-10105813	EUR	6.5%	3981	1 110 000

კომპანიას საანგარიშო პერიოდში არ უფიქსირდება დარღვევები სასესხო ვალდებულებების შესრულებისას.

15. დარიცხული სასესხო ვალდებულებები		31.12.2018 ვალუტა	31.12.2018 ექვივალენტი
1	გადასახდელი პროცენტები #6580204-10105820	(507)	(1,558)
2	გადასახდელი პროცენტები #6580204-10105813	(9,470)	(29,074)
		(9,977)	(30,632)

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		31.12.2018	31.12.2017
1	მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	(412,408)	(213,148)
2	უცხო ქვეყნის ფირმები	(14,821)	(1,924)
3	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(6,010)	(1,300)
4	დღიური დამხმარე მუშები	(1,000)	-
		(434,239)	(216,373)

17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის ივლისის თვიდან დასრულდა სამშენებლო სამუშაოები და კომპანიის სასტუმრომ სრული დატვირთვით დაიწყო ფუნქციონირება.

2019 წლის 14 აგვისტოს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შპს „.....“
მფლობელობიდან გადავიდა სს „.....“ (ს/კ) მფლობელობაში.

18. მსს ფასს -ზე გადასვლა

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოყენებულია მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღიდან. საწარმოს წინა პერიოდებში საერთოდ არ

წარუდგენია ფინანსური ანგარიშგება. შესაბამისად, მსს ფასს სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად არ წარმოქმნილა კორექტირების აუცილებლობა.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2019 წლის 13 აგვისტოს.

დირექტორი

მთ. ბუღალტერი

თარიღი: 13.08.2019